# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 73 სამშაბათი, 24 ნოემბერი 1909 წ. № 73

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე. თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის [illegible] მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი.

რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



წარმოდგენა 18. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 7.

**ხუთშაბათს, 26 ნოემბერს** 1909 წელს წარმოდგენის წინ **ი3. გომართელი** წაიკითხავს ი. შილლერის ბიოგრაფიას. ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ი. ფ. შილლერის დაბადების 150 წ. თავის აღსანიშნავათ**

## ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი

ტრაგედია 5 მოქ. და 7 სურ. თარ. ავალიშვილისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: მ. მდივანი; ბ-ნნი: ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქიქეძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

**დასაწყისი სწორეთ სალამოს 8 საათზე.**

ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60კ.-მდე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

მზადდება წარმოსადგენათ: „ნერონი“, ტრაგედია კოსსისა, «სამეგრელოს მთავარი ლევანი», «გიორგი III»,

მორიგი რეჟისორი **ა. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**დ ი ლ ი თ:** საღესასწ. წარმოდგენა **დ ი ლ ი თ**

კვირას, 29 ნოემბერს, 1909 წ. **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის**

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ დ ი ლ ი თ: გადახდილ იქნება დღესასწაული გუნდისა და ორკესტრის მისალმებით, შემდეგ მიულოცავენ დაწესებულებათა, საზოგადოებათა და სხ. დეპუტაციები. გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ორკესტრი **ზ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით. დილის მილოცვათა შორის მომღერალი **ი. ა. სარაჯიშვილი** იუბილიარს უმღერებს თავის ადრესს. დილის დღესასწაული დაიწყება 12 საათზე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: I **„ორი ობოლი“** მე—5 მოქ. დენერისა, თარგ. ა. ცაგარლისა. II **„დაქცეული ოჯახი“** მე—3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა. III **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის დღესასწაულის** გადახდა და მილოცვა ქართველ მსახიობთა მიერ. IV **„ხანუმა“** 1 მოქ. ა. ცაგარლისა.

— წარმოდგენის მთელი შემოსავალი და აგრეთვე ფულით შემოწირულებანი გადაიდება ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულების უზრუნველ-საყოფელ ფონდის გასაძლიერებლად —

— ფულით შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს საღესასწაულო კომიტეტის ხაზინადრის ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის სახელზე. —

ბილეთები იყიდება 20 ნოემბრიდან ქართული თეატრის კასაში.

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა და საღესასწაულო კომიტეტი.



## თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს, 24 ნოემბერს **მეორეჯერ** ახალი ოპერა თფილისში. მისენესეს **„ტაისი“** მუსიკა მიკლაშევსკისა. მონაწილეობას ღებულობენ ქ.ქ. ვოლსკაია, დე-ვოს-სობოლევა, ელაგინა და ფერარი, ბ.ბ. დებიანენკო, კორჩმარევი, კუზმინი და სოკოლსკი. **დასაწყისი** სალამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ მესამე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, რომლებიც წელს ათავებენ კურსს, 1) **„მარგალიტის მაძიებელნი“**; 2) **«საკონცერტო განყოფილება»**; 3) **„ბალეტი-დივერტისმენტი“** შაბათს, 28 ნოემბერს, მთელი საოპერო ანსამბლით **«ღამე სიყვარულისა»**. მზადდება წარმოსადგენათ **„გამარჯვებული საყვარლის სიმღერა“**.



## თფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—43)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.



## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—43)



## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.



კბილის ექიმი

**რომანიშვილი—დგებუაძისა**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: **ავჭალის ქუჩა № 34.**



## საჭიროა

ჟურნალ-გაზეთებისათვის ა გ ე ნ ტ ი **დ. ლანჩხუთში.** პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჯომის ქ. № 5, **რუკოვიჩთან** და აგრეთვე დ. სამტრედიაში ვოგზალზედ წიგნის შკაფში **ყარამან კოპალეიშვილთან.**



კბილის ექიმი

**ს, ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. სალამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.



კბილის ექიმი

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. სალამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).



დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

**ე. ტ. ლორის-მელიქოვი**

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.



## ბ ა თ უ მ შ ი
## რკინის გზის შკაფი

გადმოვიდა ჩემ ხელში, ამიტომ ვაცხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირი ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ღია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე და გაზეთებში დასაბეჭდი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება ასრულებული. ვინც ჩემგან თვიურათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა საჭიროა გამოწერა—შეწყვეტის დროს ერთი კვირით ადრე განცხადება.

შკაფი ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.

(10—4) გამგე გიორგი მახარაძე.



## საინტერესო გამოგონება

**მაქვს რამდენიმე გამოგონებანი,** რომლებზედაც 16 წელიწადია ვმუშაობ და ეხლა მსურს გავაკეთო ერთი მათგანის „მოდელი“, სახელდობრ **ჰაერში მფრინავი ელექტრონის გემი,** „პეტერბურგის ჰაერში საფრენ მანქანათა სამხედრო პარკში“ წარსადგენათ, რის საშვალება მე არა მაქვს, ამიტომ მივმართავ დაინტერესებულ პირთ დამეხმარონ და დაწყებული საქმე ბოლომდის მიმაყვანინონ. მოდელის გაკეთება დაჯდება 300 მანეთამდე, გაკეთდება ორი თვის განმავლობაში.

**გ. გ. ასლანოვი.**

**ადრესი:** მიხეილის პროსპექტი, სეკლესიო სახლი № 8. (5—4)



## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

**ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა**

მოგვმართოთ შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—15)


## პრესა

—

განსვენებული ილია ჭავჭავაძის შემდეგ თფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობას აღარ ჰყოლია წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოში. ვითომ განსვენებული ჭავჭავაძის მიმართულებით უკმაყოფილო რუსეთის „ზუბრებმა“ მით დასაჯა თფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, რომ გასულ არჩევნებზე არც ერთი ადგილი არ დაუთმეს მათ სახ. საბჭოში. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ვერც თვით აქედან გაგზავნილი თავად-აზნაურთა ამრჩევლები მოიქცენ მაშინ, მეტი რომ არა ვთქვათ, რიგიანათ. ყველა „ზურგს უკან“ მოქმედებით თავის თავის არჩევას შეეცადა და ბოლოს ყველა რიყეზე დარჩა. ამ უკანასკნელ არჩევნებში, ამრჩეველთა შორის, სხვათა შორის იყო თ. ი. მაჩაბელი. თ. მაჩაბელს ამრჩეველთა კრებაზე სიტყვა უთქვამს და ამ სიტყვას ის „ზაკავკაზიეს“ ფურცლებიდან ჩვენ გვაცნობს. ამ საეგზამენო კრებაზე თ. მაჩაბელი, როგორც მისი სიტყვიდან სჩანს, ცდილა, რაც შეიძლება უფრო ნათლათ დაემტკიცებია, რომ ქართველი თავად-აზნაურობა არამც თუ თანაუგრძნობს და „სახელმწიფო მტრებთან“ ერთათ მოქმედებს, პირიქით, სახელმწიფოს ნამდვილი ბურჯნი არიან და დამცირებათ და ცილისწამებათ მიაჩნიათ კიდეც მათი ამ „სახელმწიფოს მტრებთა“ სიაში ჩარიცხვა. ის, რასაკვირველია, იჯმნის ასეთი „სახელმწიფო მტერთაგან“ და არწმუნებს რუსეთის შავრაზმულ თავად-აზნაურობას, რომ ჩვენ, თავად-აზნაურობა, სრულიად ის არა ვართ, რაც თქვენ გგონივართ. ჩვენ, თქვენთან ერთათ ვართ, ერთ სულ და ერთ ხორც ჩვენი თავად-აზნაურობის დროშაზე აწერია:

> რწმენა, ღვთისა მეფისა სიყვარული და სამშობლოს ერთგულება.

რით განირჩევა ეს დროშა მოსკოვის მონარქისტების დროშისაგან? სრულიად არაფრით. და აი, თ. მაჩაბელი თავის სიტყვის მეტ ნაწილს ამ დროშის დაცვას ანდომებს. ის იქამდისაც მიდის, რომ ი. ჭავჭავაძეც ამ დროშის მატარებლათ გამოყავს და ჰგონია, რომ ამით მის სახელს და პატივს იცავს! „დროებას“ უკვირს კიდევ, რომ ქართველი თავად-აზნაურობა, რომელთაც ხელს ეს ღირსეული დროშა უპყრია, ირჩევს ისეთ ამრჩევლებს, რომლების არჩეული პირი მემარჯვენეთა ფრაქციაში ეწერება?! „დროება“ გულ-უბრყვილოთ კითხულობს:

> რას იტყვის ქუთაისის თავად-აზნაურობა თუ გამართლდა გაზეთების ცნობა და თავად ი ერისთავი მემარჯვენეთა ფრაქციაში ჩაეწერა“?

რა უნდა თქვას. ეს თავად-აზნაურობა ხომ თ. მაჩაბლის სიტყვით იმავე მრწამსის მაღიარებელია, რისაც მემარჯვენეები. ის ხომ დეპუტატი ჩხეიძე არ არის, რომ თავის წრიდან გამორიცხონ!

ამ დროშის მატარებლ თავად-აზნაურობის უფლებას, რომ მათ წარმომადგენელი ჰყავდეთ საბჭოში, ბ. მაჩაბელი კიდევ იმით ასაბუთებს, რომ მისი სიტყვით დღეს ქართველებს დუმაში თავის წარმომადგენელი არა ყავთ.

> «უნდა იქონიოთ მხედველობაში—აგონებს ის რუსეთის „ზუბრებს“,—ის გარემოება, რომ არც სახელმწიფო დუმაში გვყავს ჩვენ, ქართველებს, წარმომადგენლები, რადგან ჩვენს დეპუტატებს, რომლებიც აღიარებენ ჩვენთვის უცხო სოციალდემოკრატიულ თეორიებს, ჩვენ ვერ ვსცნობთ ქართველი ხალხის აზრის და სურვილების გამომხატველათ“.

მერე და რა უფლება აქვს თ. მაჩაბელს ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკოს?! თუ ჩვენი დეპუტატები, რომლების არჩევაში მონაწილეობას იღებდა ამდენი ხალხი, არ არის ქართველი ხალხის წარმომადგენელი, სადაური ხალხის წარმომადგნელი იქნება ის თავადი, რომელსაც თუ გინდ თფილისის და ქუთაისის მემამულე თავად-აზნაურობა, რუსეთის „ზუბრების“ დახმარებით აირჩევდა?! მარა ეს „ქართველი ხალხის სურვილების, აზრის და საჭიროების“ გამომხატველი თავ.-აზნაურობის წარმომადგენელი მემარჯვენეთა ფრაქციაში ჩაეწერა. და თუ, როგორც თ. მაჩაბელი ამტკიცებს, მხოლოდ მათი წარმომადგენელი იქნება, ქართველების სურვილების და აზრის ნამდვილი გამომხატველი, აქედან ხომ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ქართველი ხალხის სურვილი და აზრი იგივე ყოფილა, რაც მემარჯვენეების. ეს ხომ ცილის წამებაა ქართველ ხალხზე. თავ. მაჩაბელს უფლება აქვს რაც უნდა ილაპარაკოს თავის ამრჩევლებზე, მაგრამ ქართველ ხალხს ის არც აურჩევია, არც მიუნდვია მისთვის მისი სახელით ილაპარაკოს და არც მიანდობს. ქართველმა ხალხმა კარგათ იცის ვინ უფრო დაიცავს მის ინტერესებს, კიდევაც ირჩევს მათ და კიდევაც თავის წარმომადგენლებათ სცნობს მათ და თუ ქართველი თავად-აზნაურობა არ სცნობს ჩვენს დეპუტატებს თავის წარმომადგენლებათ—ეს არც საჭიროა და ეს ასეც უნდა იყოს. თავ. მაჩაბელმა ისიც კარგათ იცის—ილაპარაკეს თუ არა, აღიმაღლეს თუ არა ხმა ჩვენმა დეპუტატებმა ქართველი ხალხის საჭიროებაზე, მარა ამის ცნობა მათი ეგზამენატორების წინაშე—ეს ხომ „არა-კეთილ საიმედობის“ მოწმობის მიღებას ნიშნავდა და ასეთი მოწმობა კი, მხოლოდ 1905 წელში გამოდგებოდა.

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან)

20 ნოემბერი

**სხდომა მეორე.**

20 ნოემბრის სხდომაზე სახელმწიფო დუმაში განაგრძეს პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტის შესახებ კამათი. ლაპარაკობს მარკოვი მეორე. ის ამბობს, რომ საჭირო არაა კანონ-პროექტი ისევ კომისიას გადაეცეს, რადგან რუსეთის ხალხს არ უნდა უზრუნველ-ყოფილ იყოს პიროვნების ხელშეუხებლობა იმაზე მეტათ, როგორათაც ეს ეხლა არის. ასეთი პიროვნების ხელშეუხებლობა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს მტრებს უნდათ—სოციალისტებს და ანარქისტებს, რომლებიც საყოველთაო ძარცვა-გლეჯაზე და ხოცვა-ჟლეტაზე ოცნებობენ (ხმები მარცხნიდან: არ გაწყენდათ ცოტათი გცოდნოდათ სოციალიზმი). ამიტომ ორატორს არ უკვირს, რომ ვერ ილაპარაკეს აქ პიროვნების ხელშეუხებლობაზე, როგორც აქ ლაპარაკობდენ საფრანგეთის დიდებულ რევოლიუციაზე და ამ საზიზღარ, სამარცხვინო რამეს დიდებულ სახელს უწოდებდენ. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ კანონ-პროექტის კომისიაში გადაცემის მომხრე არიან სოციალ-ავაზაკები.

**გეგეჭკორი** (ადგილიდან) თვით ავაზაკო!

**მარკოვი** (განაგრძობს). მე არ ვლაპარაკობ დუმის პატივცემულ წევრებზე. კანონ-პროექტის მომხრენი არიან სატანას ქერქში გახვეული იუდელები და ნახიჩევანის ფეხმალი მოღვაწეები, დუმის პატივცემულ წევრებს გარდა.

**აჯემოვი** (ადგილიდან). თავხედი! ეს თავხედობაა! (მარცხნით ხმაურობა მატულობს).

**თავმჯდომარე** ზარს აწკარუნებს და თხოულობს დაწყნარდენ (მარცხნიდან ხმები: ის შეურაცხყოფას გვაყენებს).

**აჯემოვი** (ადგილიდან). მე არავის ნებას არ მივსცემ შეურაცხყოფა მომაყენონ. რა თავხედობაა! (მარცხნით ხმაურობა მატულობს).

**თავმჯდ.** ზარს აწკარუნებს და მარკოვს მოუწოდებს დაიცვას წესიერება. (ხმები მარცხნიდან: აბა, ბოდიში მოიხადოს, წაიღოს თავისი სიტყვები უკან).

**თავმჯდომარე.** თქვენი საქმე არ არის შენიშვნის მიცემა.

**მარკოვი 2** სთხოვს თავმჯდომარეს არ ჩაუთვალოს ის წუთები, რომლების დროსაც ის გაჩუმებული იყო და ისმენდა სხვების ყვირილს.

**თავმჯდ.** ეს ჩემი საქმეა. გთხოვთ კითხვის შესახებ ილაპარაკოთ.

**მარკოვი 2** ამბობს, რომ სულიერმა მამებმაც ახსენეს საფრანგეთის რევოლიუცია და დასრულდა მით, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დიმშამ ქებათა-ქება შეასხა რევოლიუციას.

**თავმჯდ.** აწყვეტინებს სიტყვას და აფრთხილებს, რომ მესამე შენიშვნის შემდეგ სიტყვას წაართმევს.

**პურიშკევიჩი** (ადგილიდან). როდიჩევი რას ამბობდა?

**თავმჯდ.** მოუწოდებს პურიშკევიჩს წესიერებას ნუ არღვევს (ხმა მარცხნიდან: რევოლიუციაზე ლაპარაკი შეიძლება განა?)

**მარკოვი 2** განაგრძობს: როცა ამ ტრიბუნიდან რუსეთის ხალხს შეურაცხყოფა მიაყენეს, არავინ მათ არ აჩერებდა ყვირილით და როცა ამ შეურაცხმყოფელებს ეხებიან, ეხლა მათ ლაპარაკს უშლიან. ის ეხება ოთხ ორატორს, რომლებიც მომხრე არიან კანონ-პროექტის კომისიაში გადაცემის. ყველა ესენი არიან „ინოროდცები“—ურია—ფრიდმანი, პოლონელი—დიმშა, სომეხი—აჯემოვი და —როდიჩევი (მარჯვნით სიცილი, მარცხნით ხმაურობა). კადეტების უმრავლესობა, ტრუდოვიკები და ზოგიერთი პროგრესისტები დგებიან და კარებისკენ მიდიან. დარბაზში ხმაურობაა.

**კარაულოვი** მიდის კარებისაკენ და ამბობს: მე სამიკიტნოში ჯდომას ჩვეული არა ვარ.

**თავმჯდომარე.** ზარას აწკარუნებს.

**მარკოვი 2.** გამსვლელ დეპუტატებს—ვინც მიდის იმათი ყურის გდება არც ღირს.

**პურიშკ.** ადგილიდან—მარკოვო! თქვენ ყურს გიგდებთ რუსეთი და არა სომხები.

**მარკოვი 2.** ეხება ფრიდმანის და დიმშას სიტყვებს და ამბობს, რომ ციხეებში უმანკო ხალხი არ ლპება და შეუწყნარებელია, რომ პროფესორებმა გახრწნან მოსწავლეები თავის ნაციონალურ-პარტიულ მიზნით და მიუსიოს ის რუსეთის მთავრობას. (ხმაურობა, ხმები: საქმეზე!)

**თავმჯდ.** აჩერებს ორატორს და სთხოვს გაიმეოროს რაც სთქვა.

**მარკოვი 2** განმარტავს თავის აზრს და ამბობს, რომ ეხლა „ინოროდეც“ აჯემოვის სიტყვას შეეხება.

**თავმჯდ.** სთხოვს ნუ შეურაცხყოფს „ინოროდცებს“.

**მარკოვი 2** ამბობს, რომ მას სახეში ყავს ის „ინოროდცები“, რომლებიც აშკარა მტრები არიან რუსეთის, ხოლო ნემეცებზე არას იტყვის.

**თავმჯდ.** სთხოვს კითხვის შესახებ ილაპარაკოს.

**მარკოვი 2.** აღნიშნავს, რომ აჯემოვი წინადადებას იძლეოდა გადაგვეყარა რუსეთის სახელმწიფეობრიობიდან ბალლასტი (ხვინჭი), მაგრამ რუსეთის მეზღვაურებმა იციან, რომ რევოლიუციონურ ღელვის დროს სახელმწიფოს გემიდან ბალლასტის გადაყრა გემს დაიყირავებს. შეიძლება ამაზე ფიქრობენ „ინოროდცები“.

**ფონ ანრეპი** ამბობს, რომ ასეთ სერიოზულ კითხვის გარჩევის დროს ორატორებს არ უნდა დავიწყებოდათ დუმის უფლებები (მარცხნით და ცენტრში ტაშისცემა) ჩვენ დამრიგებლები არ გვნდა. (ძლიერი ხმაურობა და ყვირილი.)

**თავმჯდ.** აქ დუმა არის. გთხოვთ უმორჩილესათ ნუ ღრიალებთ.

**ვიაზიგინ.** ადგილიდან: უმორჩილესათ გთხოვთ დუმის წევრებს ნუ უღრიალებთ.

**თავმჯდ.** დუმის წევრებს არ ვუღრიალებ, მაგრამ აქ ისეთი ყვირილია, რომ თუ არ ვიყვირე, ისე ვერავინ ვერაფერს გაიგონებს. თქვენ კი, რაკი თავმჯდომარეს შენიშვნას აძლევთ, მოგიწოდებთ წესიერებისკენ. (მარცხნით ძლიერი ტაშისცემა).

**ფონ-ანრეპი.** განაგრძობს, რომ კანონ-პროექტის აქა იქ შესწორებით საქმეს ვერ უშველიან, ამიტომ ოქტომბრისტთა სახელით მოითხოვს კანონ-პროექტი სასამართლოს რეფორმების კომისიას გადაეცეს (მარცხნით და ცენტრში ტაშისცემა).

**პურიშკევიჩი** გაკვირვებული კითხულობს, თუ კი კანონ პროექტის კომისიაში გადაცემა უნდოდა, რათ დასჭირდა ცენტრს ერთი კვირა სამიტინგო სიტყვები დაეხარჯა. მისი აზრით ამის მიზეზი ის არის, რომ ცენტრი მოსკოვის საარჩევნო ვექსილების ვალს იხდის. უთუოთ აქ პარტიულ ანგარიშებს ეწევიან. და თუ ეს ასეა—ამბობს დასასრულ პურიშკევიჩი—მე პირველი დავიყვირებ: სამშობლო განსაცდელშია და უმჯობესია ასეთი დუმა სულ არ იყოს. (მარჯვნით ძლიერი ტაშისცემა).

**ეფრემოვი** თხოულობს კანონ-პროექტი 23 კაცისაგან შემდგარ კომისიას გადაცეს და ერთი თვე ვადა მისცეს.

**გეგეჭკორი.** დუმის მყვირალა ს.-დემოკრატებს ვერ შეურაცხყოფს.

**თავმჯდ.** მოგიწოდებთ წესიერებისკენ (ხმაურობა მარჯვნით).

**გეგეჭკორი** განაგრძობს: საქმე კომისიაში არ არის მისი თავმჯდომარე გოლოლობოვით და მომხსენებელ ზამისლოვსკით, არამედ, საკანონმდებლო დაწ. სისტემაში, მართვა-გამგეობის სისტემაში. მიუხედავათ ამისა მასსის გასათვითცნობიერებლათ და იმის დასამტკიცებლათ, რომ სამ ივნისის დუმას არავითარი რეფორმების მიცემა არ შეუძლია, ს.-დემოკრატები ხმას მისცემენ კანონ-პროექტი კომისიას გადაეცეს.

204 ხმით, წინააღმდეგ 113 ხმისა კანონ-პროექტი 22 კაცისაგან შემდგარ საგანგებო კომისიას გადაეცა და ერთი თვე ვადა დაენიშნა. 12 საათზე კრება შესწყდა.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22—23 ნოემბერი.

### ოსმალეთი.

**სტამბოლი.** სენატმა მიიღო სეფე სიტყვის საპასუხო ადრესი, რომლითაც იმედს აცხადებენ, რომ სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება.

ბელგიელი კოტერსი აქ პირველათ აფრინდა ჰაერში.

**სტამბოლი.** ავგანის ემირის თხოვნით ავღანისტანში ოსმალეთის ცხრა აფიცერი გაიგზავნა ავღანისტანის ჯარის რეორგანიზაციისთვის.

### სპარსეთი

**თეირანი.** შირაზში საშიშ მდგომარეობის გამო რუსეთის და ინგლისის მისიის დრაგომანებმა ინახულეს შინაგან საქმეთა მინისტრი და მხარი დაუჭირეს შირაზის გუბერნატორის შუამდგომლობას შეადგინოს პატარა რაზმი. მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას.

მეჯლისი საიდუმლო სხდომებზე არჩევს სამინისტროს პროგრამას, რომელიც დამყარებულია უცხოეთის სესხსა და უცხოეთის „სოვეტნიკების“ მოწვევაზე.

### საზღვარ-გარეთ

**ბერლინი.** დასავლეთ გერმანიაში გუშინ საშიშარი ქარიშხალი იყო, რამაც დიდი ზარალი მოუტანა მცხოვრებთ. ჩრდილოეთის ზღვაში ბევრი გემი დაიღუპა. დაიხრჩვა რამდენიმე კაცი.

**ბერლინი.** მინრეალიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთ პოლიუსის გამომკვლევ ანდრეს კვალს მიაგნეს: ერთმა კათოლიკეს მღვდელმა შეატყობინა თავის ეპისკოპოსს, რომ კანადის ჩრდილოეთ ნაწილში, ბერინგის ზღვის ახლოს, ნახა ესკიმოსები, რომლებმაც უამბეს, რომ მიმდინარე წლის წინათ ზეციდან ჩამოვიდა ოეთრი სახლი ე. ი. ჰაეროსტატი, ორი თეთრკანიანით, რომლებიც შიმშილისაგან მისუსტებული იყვენ. ეხლა ისინი მოკვდენ. მღვდელს განზრახვა აქვს კიდევ ინახულოს ესკიმოსები და დაწვრილებით გამოკითხოს ამბავი.

**ლონდონი.** პარლამენტის სესია ხვალ შესწყდება. არჩევნები 1910 წლის 28 დეკემბრისა და 7 იანვარს შუა მოხდება.

**პარიჟი.** პალატამ მიიღო ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

**ბელგრადი.** გუშინ სათემო საბჭოში ს.-დემოკრატმა კოვაჩევიჩმა წინადადება შეიტანა და გაკიცხა 5 ჩერნოგორიელის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტა. წინადადება უარყვეს. ქუჩებში დემონსტრაციები მოხდა.

**ლონდონი.** სათემო პალატა. ასკვიტმა ურჩია მეფეს რაც შეიძლება ჩქარა დაითხოვოს პარლამენტი. მეფემ ეს რჩევა მიიღო. პალატამ 349 ხმით, წინააღმდეგ 134 ხმისა მიიღო ასკვიტის რეზოლიუცია, რომლითაც ლორდთა პალატის გადაწყვეტილება კონსტიტუციის დარღვევათ გამოაცხადეს.

**ბერლინი.** გაზეთები დიდის ინტერესით მსჯელობენ პრეზიდიუმის გუშინდელ არჩევნებზე. თავი შეიკავეს ნაციონალ-ლიბერალებმა და თავისუფალ მოაზრენმა. რადგან ნაციონალ-ლიბერალებმა უარი სთქვეს რეიხსტაგის პრეზიდიუმში მონაწილეობაზე, სოციალისტებს იმედი აქვთ მეორე ვიცე-პრეზიდენტის და ერთი მდივნის ადგილზე.

**რომი.** დეპუტატთა პალატის მიერ გადასახადების შესახებ კანონ-პროექტების გადამსინჯველ კომისიაში ოპოზიციის ექვსი და სამინისტროს პარტიის ორი წევრის არჩევის გამო ჯიოლიტიმ განუცხადა პალატას, რომ კაბინეთი გადადგება.

**სენტოპოლი.** მეისრეების გაფიცვა მეტათ საგრძნობელი შეიქნა ვაჭრობა-მრეწველობისთვის. გაფიცულია 20,000 მეისრე. მინტანის სპილენძის მაღაროები დიდ ზარალს განიცდიან, რადგან გადატანა შესწყდა. გაფიცულთა ადგილებზე ჩიკაგოდან და სხვა ადგილებიდან მუშები მოიწვიეს.

**ბერლინი** რეიხტაგის მეორე ვიცე-პრეზიდენტათ აირჩიეს პრინცი გოგენლოე-ლანგერბურგი.

**ბერლინი.** შვედის-ტრასსეს ქუჩაზე ორი ახალგაზდა ფოსტის განყოფილებას დაეცა, რევოლვერით მსუბუქათ დასჭრეს ფოსტის უფროსი მოხელე, რომელმაც ტელეფონით უკვე გამოიწვია დამხარენი. ბოროტგამზრახველნი გაიქცენ. დანიშნეს 500 მარკა ჯილდო ვინც მას დაიჭერს.

**ბერლინი.** გაზეთებს ატყობინებენ, რომ ბალტიმორას სავაჭრო ნაწილი ცეცხლის ალშია გახვეული. ნიუ-იორკისა, ფილადელფიის და ვაშინგტონიდან ცეცხლის მქრობლები გაგზავნეს.

### რუსეთი

**კიევი.** გაიხსნა რუსეთის რკინის გზების ინჟინერთა სიეზდი.

**ვოლოგდა.** ნიკოლსკის ერობამ ას ოცდა ცხრა ათასი მანათი გადასდო პირველ-დაწყებითი სკოლებისთვის.

**სტავროპოლი.** ვლადიკავკავის რკინის გზაზე საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა. დაზიანდა ორთქლმავალი და ექვსი ვაგონი დაიმტვრა. მსუბუქათ დაიჭრა მემანქანე, მისი თანაშემწე და უფროსი კონდუქტორი.

**ბათომი.** ერობის შესახებ თათბირი გათავდა. დაადგინეს კინტრიშის ნაწილი რუს მცხოვრებით გამოიყოს ცალკე საეროზო ერთეულათ.

**რიბინსკი.** დაიწვა რესტორანი „ელდორადო“ მთელი ავეჯით. ცეცხლი სობოროს სამრეკლოზე გადავიდა.

**ლოძი.** პამინიცკის გზა-ტკეცილზე ჩამოინგრა არტურ მეისტერის ქარხნის რკინის სახურავი, მოკლულია ორი, დაჭრილი 5 მსუბუქათ და 7 მძიმეთ.

**ეკატერინოსლავი.** გულიპოლში წარმოდგენის გათავების შემდეგ თეატრის ახლოს მოკლეს ბოქაული კარაჩენცევი.

**ნიკოლაევსკი.** (სამარ. გუბ.) საეროზო კრებამ დაადგინა ოცი წლის განმავლობაში შემოიღოს საყოველთაო სწავლა. 1910 წელში ათ სკოლას გახსნიან.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობებით ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავათ გახდა ბაქოში—11, მოკვდა 9, ავათ არის 16; სამარის გუბერნიის ნიკოლსკში 9, მოკვდა 3, იალტაში—51, მოკვდა 14. ტაგანროგის ოლქის პრეზიდენტის მაღაროეაში ავათ გახდა 12, მოკვდა 1.

## სახალხო სახლის გარშემო.

—

დრამატიული საზოგადოების გამგეობამ როცა ირკვევოდა კითხვა, თუ ვის უნდა ჰქონდეს უფლება იმ დღეებზე, რომლებიც დღემდის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასთან არსებულ თეატრალურ სექციის სრულ განკარგულებაში იყო, სხვათა შორის, კითხვა დაუყენა უნივერსიტეტის გამგეობას და ახალი წრის წარმომადგენლებს,—დაემორჩილებიან ისინი მის დადგენილებას თუ არა. უნივერსიტეტის გამგეობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ამ კითხვაზე უპასუხა, რომ წინასწარ მათ არ იციან, რომ გამგეობის გადაწყვეტილებას საფუძვლათ დაედება უსათუოთ სამართლიანობის და საბუთიანობის პრინციპი და თუ ეს ეჭვი გამართლდა, მაშინ ისინი, რასაკვირველია, შეეცდებიან სხვა გზას და სხვა ინსტანციას მიმართონ. დრამატიული საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილება უკვე ვიცით, ვიცით ისიც, რომ კითხვა გადაწყვიტეს იმ სფერებმა, რომლების ხელშია ქართული თეატრის შენობა, რომლებსაც შეუძლიათ რამდენიმე გროში გადმოუგდონ თუ არ გადმოუგდონ გამგეობას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ უკანასკნელი მორჩილი და დამჯერე იქნება პირველთა. ეს გარემოება ფრიად საგულისხმოა, ამით უნდა ისარგებლოს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ და მიმართოს ქალაქის გამგეობას და სახალხო სახლის გამგე კომისიას. ქალაქის გამგეობის წევრი თავადი ა. მ. არღუთინსკი ერთ დროს დაბეჯითებით ამბობდა, რომ წარმოდგენების გამართვის საქმე უნდა მიენდოს ის დაწესებულებას, რომელიც ამ საქმეში დახელოვნებულია, რომელსაც პროფესიონალური არტისტები ყავს, რომლის ხელშია ყოველგვარი ძალა და საშუალება ამ საქმის რიგიანათ წასაყვანათ, ამიტომაც უფლებაც დღეებზე დრამატიულ საზოგადოებას უნდა ჰქონდესო. დღიდან იმ დადგენილებისა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ამ საქმისათვის ხელიც არ გაუნძრევია, ერთი გროში არ დაუხარჯავს, ერთი წარმოდგენა არ დაუდგამს, მან ერთი კარგი საქმე ქნა—დღეები გადასცა სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ თეატრალურ სექციას და მით გათავდა მისი ყოველგვარი მოვალეობის ასრულება. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის დაწვრილებით დაფასებას, თუ რამდენათ რიგიანათ უძღოდა ამ საქმეს სექცია, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ საქმის მსვლელობით კმაყოფილი იყო მუშათა მასსა, კმაყოფილი იყო მით უფრო, რომ მას ჰქონდა პირდაპირი გავლენა საქმის მსვლელობაზე. პირველი ნაბიჯი გამგეობის—დღეების სექციაზე გადაცემა თუ მას აქტივათ ჩაეთვლება, სულ სხვა ხასიათისაა მეორე მისი ნაბიჯი—დღეების სექციისგან წართმევა და ფაქტიურათ ახალ წრისთვის გადაცემა, ამით კი მუშების საქმის გარეშე დაყენება. ეს ისეთი დიდი დანაშაულია გამგეობის მხრით, რომ სახალხო სახლის გამგე კომისიამ ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და ანგარიში გაუწიოს. სახ. უნივერსიტეტის გამგეობა ვალდებულია დრამ. საზ. გამგეობის მიერ წახდენილი საქმე სახალხო სახლის გამგე კომისიის საშვალებით გამოაკეთოს. ჩვენთვის ფრიად საინტერესოა, რა პოზიციას დაიჭერს ეს უკანასკნელი. დავიჯეროთ, რომ სახ. სახლის გამგე კომისია, ისე, როგორც თ. არღუთინსკი, ახლაც იმას იტყვის, რომ დრამატიული საზოგადოება კომპეტენტური დაწესებულებაა საზოგადოთ ხელოვნების საქმეში და კერძოთ სახალხო წარმოდგენების გამართვაშიაც! უბედურებაც ისაა, რომ მან უნარი იქაც ვერ გამოიჩინა, სადაც ის თავის დანიშნულებით ვალდებული იყო რამე გაეკეთებინა თეატრის ასამაღლებლათ და მით ქართული თეატრი ეხსნა იმ „კრახისაგან“, რომელიც მას მოელის. მან ეს ვერ შესძლო და განა ის მოახერხებს სახალხო წარმოდგენების საქმის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებას? ჩვენ ამის არც იმედი გვაქვს და არც საფუძველი, დღეიდან არც სახალხო სახლის გამგე კომისიას უნდა ქონდეს ამის იმედი. კომისია ვალდებულია გაასწოროს თავისი პირველი შეცდომა, როცა დღეები გადასცა დრამატიული საზოგადოების გამგეობას და არა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, ვალდებულია აღადგინოს სამართალი იქ, სადაც დრამატიული საზოგადოების გამგეობა უსამართლობას სჩადის, ამას მოითხოვს სახალხო წარმოდგენების რიგიანათ დაყენების საქმე, ამას მოითხოვენ ისინი, ვისთვისაც უმთავრესათ დანიშნულია ეს წარმოდგენები. **ნ.**

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**სიკვდილით დასჯა.** ზენჯანში აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის ოცი კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. განაჩენის სისრულეში მოყვანას უკვე შეუდგენ.

### ოსმალეთი

**პასუხი იზეთ-ფაშას.** როგორც ამას წინათ ვსწერდით, იზეთ-ფაშამ (აბდულ-გამიდის მარჯვენა ხელი იყო) ოსმალეთის მთავრობას სთხოვა სამშობლოში დაბრუნების ნება მომეცითო. მთავრობამ შეუთვალა: სამშობლოში დაბრუნების ნებას იმ შემთხვევაში მოგცემთ, თუ აბდულ გამიდის მეფობის დროს შეძენილ ქონების ნაწილს მთავრობას განკარგულებაში გადასცემო.

**ტიპალდოსი.** საბერძნეთში დიდ აგიტაციას ეწევიან ლეიტენანტ ტიპალდოსის განთავისუფლებისათვის. მოელიან საერთო ამნისტიის გამოცხადებას.

### რუსეთი.

— **დუმის გარშემო.** მთავრობას გადაუწყვეტია ფინლიანდიის შესახებ კანონ-პროექტი ახალწლამდე არ შეიტანოს დუმაში. ამ ხნის განმავლობაში ფინლიანდიის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ იქნება მიღებული.

— პოლიციის რეფორმის მოხდენა განუსაზღვრელი დროისათვის გადაიდო, რადგან სტოლიპინსა და ჟანდარმთა კორპუსის უფროსი ზოგიერთი კითხვების შესახებ ვერ შეთანხმებულან.

— დუმაში არსებულმა „სტაროობრიადცების“ კომისიამ „სტაროობრიადცების“ შესახებ დუმის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი და მთავრობის კანონ-პროექტი მიიღო.

— დუმის მუშათა კომისიამ მიიღო მუხლი კანონ-პროექტისა მუშათა ავათმყოფობის დროს მექარხნების ხარჯზე დაზღვევის შესახებ.

— კადეტთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პირველი დუმის წევრი პეტრუნკევიჩი.

— სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ 17 ნოემბერს დუმაში შეკითხვა შეიტანა იაროსლავას ციხეში დარაჯის მიერ ბავშის დახვრეტის შესახებ.

**მაქსიმ გორკი.** ცნობილ მწერალ მაქსიმ გორკის შესახებ „რ. ს.“-ში მოთავსებული იყო რამდენიმე დეპეშა. პირველ დეპეშა გვამცნობდა, რომ რ. ს. დ. მ. პარტიამ გადასწყვიტა მ. გორკის პარტიიდან განდევნაო. მეორე დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ცენტრ. კომიტეტმა მ. გორკისთან მოსალაპარაკებლათ კუნძულ კაპრიზე ერთი ცნობილი ს. დ. გაგზავნაო. მესამე დეპეშა გვატყობინებს: ინცინდენტი იმით გათავდა, რომ ცენტ. კომიტეტმა მიიღო მ. გორკის განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებო.

იმავე გაზეთის პეტერბურგელ კორესპონდენტისათვის ერთ გამოჩენილ ს. დ.-ს უთქვამს: გორკი პარტიიდან არ დაუთხოვიათ, მაგრამ გორკით ძალიან უკმაყოფილონი არიან. აი რანაირი მდგომარეობაა ამ ჟამათ: ხალხში ხმებია გავრცელებული, რომ გორკი სოც. დემ. მსოფლმხედველობას ღალატობს და ბურჟუაზიულ მიდრეკილებას იჩენს და ამის გამო პარტია მას კიცხავსო. ეს მართალი არ არის. ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. გორკიზე უკმაყოფილონი არიან სულ სხვა მიზეზის გამო. ბუნებრივათ „ბუნტარმა“ გორკიმ სოც. დემ. პარტიაშიაც „ბუნტი“ მოახდინა. პარტიაში შესვლის დღიდანვე გორკი არც თავის ქონებას და არც შრომას არ ზოგავდა შევიწროებულ კლასების დასახმარებლათ. პარტიის მეთაურებს ის მთელ რიგ კითხვებში არ ეთანხმებოდა. უკანასკნელ ხანებში გორკის დაეტყო რელიგიოზური პრობლემებით გატაცება. გორკის პარტიასთან დამოკიდებულება მაშინ უფრო გამწვავდა, როდესაც ის პრაქტიკულ პოლიტიკაში ჩაერია. მას გარშემო შესდგა „ოტზოვისტების“ ჯგუფი, რომელთა შეხედულება შემდეგია: თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში ორი დემოკრატიული დუმის დათხოვნის და 3 ივნისის კანონის შემდეგ, რუსეთის ბიუროკრატიულ მემამულეთა პარლამენტში ადგილი არ უნდა ქონდეთ პროლეტარიატის წარმომადგენლებს. ს. დ. ფრაქციის დუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ადასტურებს 3 ივნისის დუმას და ამით რყვნის და აბნელებს პროლეტარიატის თვით-შეგნებას. როგორ უნდა მოექცეს პარტია დუმის ფრაქციას? მან დაუყოვნებლივ უნდა გაიწვიოს (**ДОЛЖНЫ ОТОЗВАТЪ**) უკან დეპუტატები. ფრაქციამ დემონსტრატიულათ უნდა დასტოვოს თავისი თანამდებობა.

ამ მიმართულების სულიერი მეთაური არის მ. გორკი, რომელსაც „ბოლშევიკებში“ ბევრი მიმდევარი ყავს. ბოგდანოვი და ლუნაჩარსკი კარგა ხანია, რაც პლეხანოვის შეხედულებას ჩამოსცილდენ და გორკის თანამოაზრენი გახდენ. ცნობილია, რომ კაპრის კუნძულზე გორკის სახლში შკოლა გამართეს, სადაც ახალი მიმართულების ადეპტებს (მიმდევრებს) ამზადებენ. მომავალ აგიტატორებათ მეცადინობენ თვითონ გორკი, ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და სხვები. მომზადებული მუშები რუსეთში ბრუნდებიან, მათ ადგილას კი „ოტზოვისტები“ სხვებს აგზავნიან. აი, ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ არიან უკმაყოფილო გორკით და მასთან ერთათ ბოგდანოვ-ლუნაჩარსკით. ამ კითხვაში ისეთი მოწინააღმდეგენიც კი შეთანხმებულან, როგორც პლეხანოვი და ლენინია.

**ახალგაზდა ექიმები.** სამხედრო-საექიმო აკადემიის კურს დამთავრებულმა ახალგაზდა ექიმებმა, რიცხვით 150 კაცმა, საფაკულტეტო კრება დანიშნეს. კრების უმრავლესობამ (ორის წინააღმდეგ) შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: 1909

წ. კურს-დამთავრებულნი ვსდებთ-რა საექიმო ფიცს, პროტესტს ვაცხადებთ ექიმების მიერ სიკვდილით დასჯის აქტში მონაწილეობის მიღების შესახებ, რადგან ეს ამცირებს ექიმის და ადამიანის ღირსებას.

**სტუდენტების კრება.** პეტერბურგის უნივერსიტეტში რექტორის მიერ ნება დართული კრება მოხდა. კრებამ რეზოლიუცია მიიღო, რომელთაც პროტესტს აცხადებენ 7 ნოემბერს პოლიციელთა უნივერსიტეტის შენობაში შესვლის შესახებ. სათვისტომოების ლეგალიზაციის საკითხი მომავალ კრებაზე გაირჩევა.

**რეფორმების შეჩერება.** თურქესტანის მხარეში განზრახული რეფორმების მოხდენა შეჩერდა, რადგან გრაფ პალენს, რომელიც ამ მხარეში რევიზიას ახდენს, განუცხადებია, რომ რევიზიის გათავებამდე არავითარ რეფორმაზე ლაპარაკიც არ შეიძლებაო. სენატორის აზრით, ჯერ ყველაფერი უნდა დაინგრას და შემდეგ ნანგრევებზე ახალი შენობა უნდა აიგოს.

**შახი „გაფრენას“ აპირებს.** 17 ნოემბერს მაჰომედ ალის სურვილის თანახმად ოდესაში ქილბერის აეროსტატი გაფრინდა. აეროსტატში იჯდა შახის ერთი მახლობელთაგანი, რომელმაც შახს თავისი შთაბეჭდილება უნდა გააცნოს. შახი თვალმოუშორებლი უყურებდა, სანამ აეროსტატი ძირს არ დაეშვა. შახს აზრათ აქვს მომავალში თვითონ სცადოს გაფრენა.

### საზღვარ-გარეთ

**მომავალი არჩევნები.** გაზეთ „მატენის“ კორესპონდენტს მომავალი საპარლამენტო არჩევნების შესახებ ინგლისელ ლიბერალებთან და სოციალისტებთან ქონია ლაპარაკი. ლიბერალებს უთქვამთ: ჩვენ სასურველით მიგვაჩნია არჩევნების დროს სოციალისტებთან შეთანხმება, ვინაიდან ჩვენი ხმების დაყოფა კონსერვატორების გამარჯვებას უზრუნველყოფსო. სოციალისტ დეპუტატებს ლიბერალებთან შეთანხმება ამ ჟამათ შეუძლებლათ მიაჩნიათ, რადგან ამრჩევლებისთვის პირობა აქვთ მიცემული არც ერთ ბურჟუაზიულ პარტიასთან კავშირი არ დაიჭირონ.

**უწესოება თეატრში.** პარიზის ერთ თეატრში თითქმის ყოველდღე იდგმის ახალი პიესა—„ფერერის სიკვდილი ბარსელონაში“. წარმოდგენას აუარებელი ხალხი ესწრება. 13 ნოემბერს ახალგაზდა არისტოკრატთა ჯგუფმა თეატრში უწესოება მოახდინა. მათ მეორე მოქმედების დროს სტვენა და ყვირილი დაიწყეს, სცენაზე ლაყ კვერცხებსა და ფორთოხლის კანებს ისროდენ. საქმე იქამდე გამწვავდა, რომ თავგასულ არისტოკრატებსა და აქტიორებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ერთი აქტიორი მძიმეთ დაიჭრა.

**ახალი კავშირი.** ლონდონის დიპლომატიურ წრეებში იმ აზრის არიან, რომ ახლო მომავალში ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობა დაირღვევა. მის მაგიერ შესდგება ახალი კავშირი, რომელშიაც შევლენ: იაპონია, ამერიკა და გერმანია. კავშირის მოქმედება მიმართული იქნება რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ.

**კუკის გაპარვა.** გაზეთ „ბერ. ლოკ. ანც.“-ს ნიუ-იორკიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ექიმი კუკი საიდუმლოთ ემზადება იტალიაში წასვლას, მის მაგიერათ, რომ დაპირებისამებრ მთა მაკ-გინლეიზე მოგზაურობის საბუთები წარედგინა სამეცნიერო წრისათვის. კუკის იტალიაში წასვლას ნიუ-იორკის საზოგადოება ისე უყურებს, როგორც გაქცევას.

**სუფრაჟისტკა ციხეში.** მისს გარნეტი, რომელმაც ამას წინათ მინისტრ ჩერჩილს მათრახით ცემა დაუპირა, მთავრობამ დააპატიმრა. გამბედავ სუფრაჟისტკას რამდენიმე დღის წინათ თავის კამერისათვის ცეცხლი გაუჩენია. სატუსაღოს უფროსმა ის ბნელ საკანში დაამწყვდია.

**ბრიანი კლერიკალების წინააღმდეგ.** 13 ნოემბერს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მსჯელობა იყო ბიუჯეტის შესახებ. აბატ გეირომ ისარგებლა შემთხვევით დ კლერიკალების დასაცავათ სიტყვა წარმოსთქვა. მან თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ საფრანგეთის კათოლიკების დასამშვიდებლათ საჭიროა მთავრობა პაპას მოურიგდესო. ბრიანმა უპასუხა: კონფლიქტის გაღრმავების მიზეზი მხოლოდ ვატიკანის საშიში დიპლომატიაა. ეკლესიის პოლიტიკური გავლენა საფრანგეთში მოისპო, ის ვერასოდეს ვერ ეღირსება დაკარგული მნიშვნელობის დაბრუნებასო...

## ელეგია.

„არ დაგივიწყებ, არა,
არა!... ვიდრე ჰფეთქს გული,
ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი
და პირში სული.

ღელვილ ცხოვრებას მოწყვეტილი, განშორებული,
სიჩუმით მოცულ, მიყრუებულ ქალაქის პირას;
ხელებ დაკრებით, სევდიანი, დაფიქრებული,
ობოლი სულით მარტოთ-მარტო, ვიჯექ მთის ძირას!

—

არსით ნათელი არა სჩანდა... უნუგეშობით,
მივჩერებოდი დაბნელებულ, პირ-ქუშ ცის კიდურს;
იგიც უსაზღვრო, უსულგულო, მთელ საშიშრობით,
თავს დამცქეროდა მე, უღონოს, ბედ-კრულს, უბედურს!

—

შემდეგ გავხედე გაწამებულ, დამაშვრალთ მხარეს,
მარად განუყრელ ჩემს მშობლიურ ტკბილ არე-მარეს;
ნისლით მოცულ, ძაძით მოსილს, მჭმუნვარ-მწუხარეს,
ტკივილის აღმძვრელს, წყლულთა ამშლელს, სნეულს, გდებარეს!

—

.. და ყურს ვუგდებდი მის გულისთქმას ყრუ მდუმარებით,
ვით შვილი მშობელს, განუსაზღვრელ, ღრმა მწუხარებით!
ღონე მიხდილი, ჩემი მხარე, კვალად კვნესოდა,
და იგი კვნესა, მახვილივით, გულში მესოდა!..

**გ. ქუჩიშვილი**

## ახალი ამბები

—

**ორი საათის განუწყვეტელი სროლა და ორი კაცის მოკვლა.** პარასკევს, 20 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, მადათოვის ქუჩაზე. სამმა უცნობმა სროლა აუტეხა ერთ ვიღაც უცნობს და შემდეგ გაქცევა და დამალვა დააპირეს, მაგრამ ერთი მათგანი ალექსანდროვის ბაღთან პოლიციამ მაშინვე შეიპყრო, რომელსაც იარაღი არ აღმოსჩენია. ორმა კი სროლა განაგრძო და უკან დახევით ორბელიანის ქუჩას გაუდგენ, მიირბინეს მეორე ვანქის შესახვევთან, ჩასაფრდენ და ორი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ესროდენ პოლიციელებს, რომელთაც პოლიცმეისტერი ზასიპკინი და მისი ორი თანაშემწე მეთაურობდენ. პოლიციელები ავიდენ სახლის სახურავებზე, შევიდენ სახლებშიაც და ამ რიგათ ირგვლივ რგოლი შემოარტყეს უცნობ მსროლელთ. ზოგი მათგანი თხოულობდა აშკარათ შევარდნილიყვენ შესახვევში და თავს დასხმოდათ მსროლელთ, მაგრამ ზედ-მეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლათ ზასიპკინმა ამაზე ნება არ დართო. ჩასაფრებულნი უცნობი მსროლელნი პოლიციელებმა ორივე მოკლეს, რომელთაც აღმოაჩნდათ 2 „მაუზერის“ სისტემის რევოლვერი, უბის წიგნები და ცარიელი პატრონის გილზები. მოკლულთა ვინაობა ჯერ არ იციან. სროლის დროს უცნობ მსროლელებს უნდოდათ ეზოში ჩარბენა და გაქცევა, მაგრამ მათ კარები არავინ გაუღო. სროლის დროს ისინი ხმა მაღლა იძახოდენ: «ჩვენ აქ მოვედით ტერორისტული აქტის მოსახდენათ“. ერთი მათგანი იძახოდა: ელისავეტპოლში ჩვენ მოვკალით მაზრის უფროსი ავალიანი, ჟანდარმი და ადმინისტრაციის ბევრი სხვა პირები“-ო, რომელთა გვარების ძახილი სროლის დროს კარგათ არ ისმოდა. მოკლულნი საავათმყოფოში გაგზავნეს. სროლის დროს დაიჭრა: მე-5 უბნის ბოქაული დაშკოვი და თფილისის მოქალაქე ს. გაზიანცი. პოლიციელის მიერ დაპატიმრებულმა ერთმა უცნობმა თავის თავს ქუთაისის მეორე გილდის ვაჭარი ივანე სალარაძე უწოდა, რომელიც აქ 19 ნოემბერს ჩამოსულა საექიმოთ და სასტუმრო „ცენტრალში“ დამდგარა. გამოძიება სწარმოებს.

✦ **პოლიცმეისტრის მიერ მადლობის გამოცხადება.** პოლიცმეისტერი აცხადებს: „მადლობას ვუცხადებ ჩემ ხელქვეით მოსამსახურეთ იმ ენერგია და ყოჩაღობისათვის, რაც მათ 10 და 20 ნოემბერს ბოროტ-მოქმედთა დევნაში გამოიჩინეს. პირველ და მეორე შემთხვევაშიაც ბოროტ-მოქმედნი მოკლულ იქნენ. ვამაყობ ჩემი ხელ-ქვეით მოსამსახურეთა ასეთი ყოფაქცევით და ღრმათ მრწამს, რომ ისინი კიდევ უფრო დახელოვნდებიან ასეთ შემთხვევებისთვის და ბოროტ-გამზრახველებს თავ-ზარ დამცემათ მოევლინებიან და ამით უზრუნველ ყოფენ მშვიდობიან მცხოვრებთა კერძო საკუთრებას. ვინც ხსენებულ შემთხვევებში თავი ისახელეს, იმათ დასაჯილდოვებლათ შუამდგომლობა უკვე აღძრულია“.

✦ **წარმოდგენების ახლად დაარსებულ მომწყობ წრემ,** არტ. ნ. გაბუნიაცაგარლის იუბილეიში მონაწილეობის მისაღებათ, წარმომადგენლებათ უკვე აირჩია: ნ. გოცირიძე და ა. ქიქოძე.

✦ **ახალი ჟურნალი.** თფილისში ჩამოვიდა ლექტორი ტოტომიანცი; მას განზრახული აქვს სააქციონერო საზოგადოება შეადგინოს, პეტერბურგში ისეთი ჟურნალის გამოსაცემს, რომლის მიზანი იქნება გააცნოს რუსის საზოგადოებას კავკასიის ხალხნი და მათი საჭიროებანი.

✦ **ნიხრი.** ქალაქის სამეურნეო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს, რომ ძროხის ხორცი გირვანქა 11 კაპ. იყიდებოდეს.

✦ **თფილისში ჩამოვიდა სატყეო დეპარტამენტის ინსპექტორი,** რომლის ჩამოსვლას ის მიზანი აქვს, რომ სახაზინო გლეხების მიერ ტყეებით სარგებლობის საკითხი საბოლოოთ გადასწყდეს.

✦ **დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმათ, ქალაქის გამგეობამ 1909 წ. ხარჯთაღრიცხვაში 6000 მ. შეიტანა მადლრის დასაკმაყოფილებლათ, რომელმაც ქალაქს კიროჩნის ქუჩაზე მიწა მიყიდა.

✦ **ქალაქის გამგეობამ** წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას, რომ მან ტრამვაის გზები შეაკეთოს. გზები ბევრ ადგილას ძალიან გაფუჭებულია.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე** ვატაციმ ქალაქის გამგეობასთან და გუბერნიის ქალაქების საქმეთა საკრებულოსთან ერთად გუშინ ქალაქის წყლის საყვანი დაათვალიერა ავჭალაში, რომლითაც კმაყოფილი დარჩა.

✦ **საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** ხვალ, 25 ნოემბერს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება პიესა თათრულ ენაზე „ხაჯი-ყარა“ (ძუნწის თავგადასავალი) წარმოდგენის შემოსავალი კავკასიის მუსულმანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლათ გადაიდება.

✦ **ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 26 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება შილერის ცნობილი ტრაგედია „ავაზაკები“. წარმოდგენის წინ ივ. გომართელი წაიკითხავს შილლერის ბიოგრაფიას.

✦ **საოსტატო სემინარია ქართულ გიმნაზიასთან.** თფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოებას განუზრახავს დაარსოს თფილისის ქართულ გიმნაზიასთან საოსტატო სემინარია, სადაც მოამზადებენ მასწავლებლებს მომავალ საერობო სკოლებისათვის. მასწ. ხრამელაშვილს ამის შესახებ ვრცელი მოხსენება დაუმზადებია, რომელსაც მალე საზოგადო კრებას წარუდგენს განსახილველათ.

✦ **სამკითხველო ბიბლიოთეკა.** თფილისის გუბერნატორმა ნება დართო სომხურ ეტნოგრაფიულ საზოგადოების საბჭოს თფილისში ბიბლიოთეკა დააარსოს.

✦ **სახელოსნოები ციხეში.** ციხეების მთავარ გამგეობის მიერ ნება დართულია გაიხსნას თფილისის ციხეებში სხვადასხვა დარგის სახელოსნოები, რომელთა კურთხევა მოხდება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

✦ **გაზ. „ვარსკვლავი“,** რომელიც ქუთაისში გამოდიოდა, ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა. რედაქტორი ს. ჯინჭველაშვილი გაანთავისუფლეს.

✦ **სახალხო სახლის ხარჯები.** 1910 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში სახალხო სახლის ხარჯებში შეტანილია, 24,560 მ. შემოსავალი კი 13,780 მ. უდრის. ე. ი. ქალაქმა 10,780 მ. უნდა დაამატოს წლიურათ.

✦ **ექსკურსიები.** საშობაო უქმეებზე რამოდენიმე სამრევლო სკოლების მოსწავლე და მასწავლებლები საექსკურსიოთ გაემგზავრებიან ქუთაისს და მოწამეთ გელათის მონასტრებს ინახულებენ.

✦ **ბაქოში რილსკის გატაცების შესახებ** სასამართლოს სხდომები უკვე დამთავრდა. ბრალდებულს აბდულ-ლი-რუსტამ ოღლს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და 6 წლის კატორღა მიუსაჯეს.

✦ **თფ. სამხედრო საკრებულომ** ცნობები გაუგზავნა თფილისის პოლიცმეისტერს იმის შესახებ, რომ საკრებულოში არ გამოცხადებულა და სალდათობას 87 სასალდათო ემალებაო. პოლიცმეისტერმა ზომები მიიღო მათ მოსაძებნათ.

✦ **თფილისში ჩამოვიდა** ოსმალეთის კონსული ჯაფერ-ბეი.

✦ **სხდომა.** დღეს, 24 ნოემბერს, მოხდება კავკასიის საგეოგრაფო საზოგადოების წევრთა კრება (მოსკოვის ქუჩა, № 3), სადაც საზოგადოების წევრი ი. ნ. ვორონოვი წაიკითხავს მოხსენებას ართვინის ბუნებისა და მცხოვრებთა შესახებ.

✦ **იაფ-ფასიანი წარმოდგენა.** თანახმათ ქართული დრამ. საზ. გამგეობის დადგენილებისა, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში შეუდგენ იაფ-ფასიანი წარმოდგენების მართვას. პირველი წარმოდგენა გაიმართა შაბათს, 21 ნოემბერს. წარმოადგინეს „ლალატი“.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 21 და 22 ნოემბერს თფილისში ჩხრეკის დროს პოლიციამ დააპატიმრა სულ 66 უპასპორტო.

**კავკასიის პირველი მორიგი გამოფენა-ბაზარი მეფუტკრეობისა.**

20 ამ თვეს შუა დღის ორ საათზე კავკასიის სამეურნეო საზ. შენობის ქვემო სართულში გაიხსნა მეფუტკრეობის გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრო თფილისის გუბერნატორი და მიწათ-მოქმედების რწმუნებული არხიპოვი. გამოფენის დაწყების წინ თავმჯდომარემ, მეფუტკრე თ. პ. მ. ლორთქიფანიძემ მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ: გამოფენა, როგორც პირველი ძრიელ საინტერესოთ არის მოწყობილი. 50 წელიწადია მას მერმე, რაც დასავლეთ ევროპაში რაციონალურმა მეფუტკრეობამ ფეხი მოიკიდა. ჩვენში ათი წელიწადია რაც მოჰკიდეს ხელი ამ მრავალმხრივ სასარგებლო დარგს მეურნეობისას და ამ მცირე ხანში დიდი წარმატება ეტყობა, მხოლოდ, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით გლეხობაში ვერ არის გავრცელებული. მრავალ გამოფენილ ნაწარმოებს შორის მხოლოდ ორიოდე გლეხთა და ერთიც სოფლის მღვდელია მონაწილე გამოფენაში, დანარჩენები კი, სულ ყველა ინტელიგენტები და შეძლებული პირებია. მღ. ჯალიაშვილს აქვს გამოფენილი სანთლის არაყი, რომელიც ამდენ ხანს მარტო გურიაში იყო ცნობილი. სხვათა შორის ძრიელ საინტერესოა დიუმას, ბახვინდაროვის და ლორთქიფანიძის საფუტკრის ნაწარმოები. ბ-ნ ლორთქიფანიძეს საფუტკრე გაუმართავს ერწოში (ხევსურეთში) სადა ფუტკრის განედება (დახოცვა) იციან როცა სურთ თაფლი ამოაცილონ. ამ მხრივ რასაკვირველია, ეს საფუტკრე ასეთ ყრუ ადგილას სასურველ ნაყოფს გამოიღებს. გამოფენას ხალხი საკმაოდ ესწრება, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ სოფლელებს, რისთვისაც უმთავრესათ უნდა იყოს საინტერესო.

გამოფენა-ბაზარი გაგრძელდება 30 ნოემბრამდე: იქვე შეიძლება მსურველებმა შეიძინოს საუკეთესო ნამდვილი ბუნებრივი თაფლი.

**მეფუტკრე.**

## პროვინცია

—

**ს. კულაში.** სამტრედიის ახლოს არის პატარა ტბა, რომელსაც ნარიონას ტბას ეძახიან. წლევანდელ გვალვების გამო ეს ტბა დაშრა. 19 ოქტომბერს აქაურ მცხოვრებმა ქალმა ცეცხლი გაუჩინა ხმელ ბალახს, რომელიც დამშრალ ტბაში იყო. როცა ბალახი დაიწვა, ტბის ძირზე გამოჩნდა ვიღაც კაცის გვამი. ეს ამბავი სოფელს ფიცხლავ მოედვა. ხალხმა თავი მოიყარა და აღმოჩნდა, რომ მიცვალებული ს. კულაშის მცხოვრები ნიკოლოზ კალაძე იყო. ის ორი წელიწადია, რაც დაკარგულა. ერთ დღეს დილით კალაძე ყანაში წასულა უკან აღარ დაბრუნებულა. ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვიათ. ცოლშვილს და ნათესავებს ძლიერ აწუხებდათ ის აზრი, რომ ვერც ცოცხალი იპოვეს და მკვდარიც დაეკარგათ. მიცვალებული 20 ოქტომბერს მიწას მიაბარეს. მას დარჩა ცოლი და ორი პატარა ბავშვი.

**ეწრელი კოწია.**

—

**ხიდისთავი (გურია).** ბასილეთის საზოგადოება ცნობილია გურიაში ერთ-ერთ საუკეთესო კუთხეთ სწავლა-განათლებისმხრით. აქ არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი 5 მასწავლებლით, რაც იშვიათია, მით უმეტეს იქ, სადაც სკოლის მასწავლებლებს საზოგადოება ინახავს თავის ხარჯით (ყველა მასწავლებლებს, გარდა ერთისა, აქ საზოგადოება ინახავს) სასწავლებელში სწავლობს 340 მოსწავლე. გარდა ამისა მთელ საზოგადოებაში არის 5 სამრევლო სკოლა. ამ სკოლებში მოსწავლე ვაჟებთან ერთათ მოსწავლე ქალებიც არიან, მაგრამ მიღების დროს ქალების განსაზღვრულ რიცხვს ღებულობენ—ხან და ხან, როცა ვაჟების რიცხვი დიდია, ქალებს სრულიადაც არ ღებულობენ. სწავლის სურვილი კი ძლიერ დიდია. ხშირათ გაიგონებთ, რომ ქალის მამა ამბობს მიღების დროს: „ციცე და ბიჭი რამ გაარიგა, თუ შენ მოგცემენ ადგილს, მეც უნდა მომცენ, როგორც შენ გინდა ასწავლო შენ შვილს, ისთე მინდა მე ვასწავლო ჩემს ქალიშვილს“. სამწუხაროთ ასეთ დიდ საზოგადოებაში, არ არსებობს საქალებო სასწავლებელი. არის ერთად ერთი საქალებო ერთკლასიანი სამრევლო სასწავლებელი ხიდისთავში, აქ კურს დამთავრებულნი, თუ ადგილი იშოვნეს, სწავლას ორკლასიან სასწავლებელში—გადადიან, სადაც მათ ღებულობენ მესამე განყოფილებაში. სწავლის გაგრძელების მსურველი ბევრია, მაგრამ ყველას მიღება შეუძლებელია, რადგანაც ეს სასწავლებელი სპეციალურათ ვაჟებისთვისაა და არც სამოსწავლო მთავრობა და არც საზოგადოების უმრავლესობა ამაზე არ დათანხმდება. ორი სამი წლის წინათ, როდესაც სხვა და სხვა მიზეზების გამო ბავშვებს შედარებით ნაკლებ აძლევდენ სკოლებში ორ-კლასიან სკოლაში მიღებულ იქნა საქალებო სკოლაში კურს დამთავრებულნი რამდენიმე ქალი. ესენი წელს ათავებენ ორ კლასს. და ეს პირველი მაგალითი არის ბასილეთის საზოგადოებაში, რომ ადგილობრივი ქალები ათავებდენ ადგილობრივათ ორ-კლასიან სასწავლებელს. —მიზეზი, რა თქმა უნდა, საქალებო სკოლის უქონლობაა. —საჭიროა სწავლა-განათლების გულ-შემატკივარებმა და განსაკუთრებით არსებული სავაჟო სკოლის მზრუნველებმა, აღძრან შუამდგომლობა სახალხო სკოლების ინსპექტორთან გახსნას ბასილეთის საზოგადოებაში ხაზინამ ორკლასიანი საქალებო სასწავლებელი, რადგანაც ის დღიდან დაარსებისა, ინახავს სავაჟო ორკლასიან სასწავლებელს. თუ ორ-კლასიანი შეუძლებელი იქნება, ერთ-კლასიანს მაინც გახსნიან, როგორც განყოფილებას სავაჟო სკოლის და იქ კურს დამთავრებულნი უეგზამენოთ მიიღებიან ორ კლასიან სასწავლებლის მეოთხე განყოფილებაში, რაც ყოველ შემთხვევაში, შეძლებას მისცემს ქალებს, წელიწადის დაუკარგავათ, დაასრულონ ორი კლასი. საჭიროა მხოლოდ დროზე საქმის დაწყება. (გასულ წელს ბ-ნმა მაჭავარიანი კიდეც დაპირდა მასწავლებლებს ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას). ეს საქმე დაგვიანებას არ ითმენს, რადგანაც მომავალ სამოსწავლო წელს, უადგილობის გამო ქალები სკოლის გარეშე დარჩებიან.

**იბრაგიმ.**

—

**ჭიათურა (იმერეთი).** თანახმად სამოსამართლო პალატის მოწერილობისა, აქ დაკეტეს ყველა ის სასწორები, რომლებიც „შემოწმების“ დროს სწორი არ აღმოჩნდენ.

19 ამ თვეს მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გაერჩია საქმე მწონელის სვიმონ მესხისა, მაგრამ ის როგორც აზნაური, მოსამართლემ, საოლქო სასამართლოს გადასცა. მეორე საქმის გარჩევის დროს კი საინტერესო რამ გამოირკვა: კაპიტალისტ პავლიდის მწონელს პეტრე კარაფულიდის, ბრალს სდებდა სასწორების „კანტრალიორი“ ბ. მელიქოვი ერთი ურმის აწონის დროს ორი ფუთი შავი ქვის მოპარვაში. პირველად მან განაცხადა, რომ აიღო „სკიდკათ“ ორი ფუთი, რადგან ქვა სველი იყო და ეს მეურმის თანხმობაც იყოო, მაგრამ მეურმემ უარყო ეს ფაქტი და ისიც გამოირკვა, რომ ქვა სველი არ იყო. ბოლოს გამოტყდა მწონელი და სთქვა: ხაზეინის ბრძანებით მუდამ ასე ვიპარავდი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან დამითხოვდაო“. მწონელს მაინც გამოუჩნდა დამცველათ ერთი მრეწველის ნოქარი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩემი ხაზეინის ქვას ყიდულობს კაპიტალისტი პავლიდი და ჩვენის თანხმობით ურემზე ორ ფუთს ვაძლევთო“. მომრიგებელმა მოსამართლემ ყველა ესენი პასუხის გებაში მისცა, რადგან წინასწარ მოლაპარაკებით ორი ფუთის მო-

პარვით დააზარალეს და გაცარცვეს მეურმე. ყველა ამათ თავდები მოსთხოვეს და საქმე 21 დეკემბრისთვის გადაიდო.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა დრო გამოშვებით მართავს სხ.ა და სხვა მოთხრობების კითხვას. კარგი იქნებოდა, რომ გამგეობა მოაწყობდეს ერობაზე ლექციას. ერობაზე ნაკლები წარმოდგენა აქვს აქაურ საზოგადოებას და ძალიან დაინტერესებული არიან მის გაცნობაზე.

გიზო.

## მუშა ქალთა კლუბი მოსკოვში.

—

რამდენიმე წელია, რაც გაუთხოვარ ქალთა მზრუნველ საზოგადოებასთან, მოსკოვში, არსებობს მუშა ქალთათვის კლუბი; კლუბთან მოწყობილია წერა-კითხვის შესასწავლი სკოლა, კითხულობენ ადვილათ გასაგებ ლექციებს საზოგადო განათლების საგნებიდან, კვირა-უქმეებში და დღესასწაულობზე მართავენ სხვა და სხვა გასართობებს—ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს და სხ., რომელშიაც მონაწილეობას იღებენ თვით კლუბის წევრ.ნი—მუშა ქალები და ხელოვნების კომისია. ამ ჟამათ კლუბის წევრათ 167 მუშა ქალი ითვლება. კლუბში წევრათ ჩაწერის სურვილი ბევრს აქვს, მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება, მარა შენობის სივიწროვე აიძულებთ გამგეებს მსურველთ უარი უთხრან. საუცხოვო სანახავია კლუბის დარბაზი საღამოს 8 საათის შემდეგ, როცა ადგილობრივ ქარხნებში მუშაობა შეწყვეტილია. კლუბის დარბაზი 3 ოთახისაგან შესდგება. ერთ უფრო მოზრდილ ოთახში გამართულია მუსაიფი—არკვევენ ამა თუ იმ საკითხებს სხვა და სხვა საგნებიდან. ამ დროს ყველა დამსწრენი სმენათ არიან გადაქცეული. თითო სკამზე 2—3 ქალი ზის, ჩამომჯდარი არიან აგრეთვე ფანჯარასთან, ბუხართან და სხ. ზოგიერთები ფეხზე დგანან. ოთახი ისეა გაჭედილი, რომ შიგ თავისუფალი ალაგი აღარ რჩება. ოთახში შემსვლელის ყურადღებას იქცევს ქალების სიმშვიდე და დაკვირვება. ყველა დიდის გულ მოდგინეობით და დაკვირვებით უსმენს მასწავლებელ ქალს. ყველა ცდილობს მასწავლებლის ნათქვამიდან არაფერი გამოეპაროს. ათვალიერებენ გეოგრაფიულ რუქას და სხვა და სხვა სურათებს, რომ უკეთ შეისმინონ მასწავლებლის მიერ ნათქვამი. ამ დროს ორ დანარჩენ ოთახშიაც მრავლათ არიან ქალები, რომელთაც, დავიწყნიათ რა ყველა ის გაჭირვება, რაც მთელი დღის განმავლობაში მუშაობის დროს განიცადეს ქარხანაში, ბეჯითად სწერენ ანბანებს ან სწავლობენ ანბნების კითხვას წიგნში. ოთახები მეტათ დაბალია, ცუდათ განათებული—ლამპები თითქმის ბოლავს, ამას ისიც ემატება, რომ ოთახში ბევრი ქალია, ამიტომ ოთახში ცხელა, მძიმე ჰაერია; შეუჩვეველ კაცს შიგ შესვლისთანავე თავი ასტკივდება, მაგრამ მუშა ქალები, რომელთაც 10 საათი შეუსვენებლივ უმუშავიათ ქარხანაში, სამუშაოდან პირდაპირ უსადილოთ მიეშურებიან, რომ რაიმე შეისწავლონ, თუ გინდ ერთი ცოცხალი სიტყვა მოისმინონ და თავისებურათ მოისვენონ, სადაც არ ისმის ქარხნის გუგუნი, არავინ სჩაგრავს მათ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთი მასწავლებელი ვერ ეღირსება ასეთ გულის ყურის მქონე და ბეჯით მოსწავლეებს. კლუბი მუშა-ქალთა მარტო სკოლის მაგიერობას არ უწევს. ეს ერთად-ერთი ადგილია მათთვის, სადაც შეუძლიათ ერთმანეთს, ინტელიგენტურ საზოგადოებას შეხვდენ,—იმუსაიფონ, იკითხონ და სხ. ასე რომ, ისინი აქ კიდეც ისვენებენ, კიდეც სწავლობენ და კიდეც ერთობიან. აქედან მიდიან თეატრში და ლექციებზედაც.

იმ მუშა ქალებს, რომლებიც კლუბში დადიან, შესამჩნევათ ეტყობა კლუბის გავლენა. მათ არა თუ ცოტა რამ შეითვისეს სხვა და სხვა საგნებიდან, არამედ—თავიანთ ზნეობრივ კულტურული განვითარებით თითქმის ინტელიგენტებათ იქცენ. მათი ინტელიგენტობა ბევრ რამეში გამოიხატება: მონდომებული არიან რაც შეიძლება ბევრი რამ შეისწავლონ, რაც დღემდე ისე არ აინტერესებდათ და სხვ. ეხლა ცდილობენ კლუბის საქმეში თითონ მიიღონ აქტიური მონაწილეობა. (კლუბი დაარსებულია გრაფინია ვ. ნ. ბობრინსკის ასული მიერ) მაგ. კლუბის შესანახათ თითოეული მუშა ქალი იხდის თვიურ ჯამაგირიდან განსაზღვრულ პროცენტს. ასეთი გადასახადი მით უფრო საგულისხმო იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბევრი მუშა ქალი თვეში 5—6 მანეთ ჯამაგირს იღებს. ვისაც მეტი ჯამაგირი აქვს, თავისი სურვილით მეტსაც იხდის, მარა მარტო ფულის გადახდაში არ გამოიხატება დახმარება: კლუბის ძველ წევრებს მოჰყავთ კლუბში ახალი წევრები: უკითხავენ წიგნაკებს, აძლევენ რჩევას და ზაფხულობით, როცა კლუბში მეცადინეობა შეწყვეტილია, თითონ ასწავლიან წერა-კითხვას. საქარხნო რაიონში—ეგრეთ წოდებულ დევიჩი უბანში—კლუბს ყველა კარგის თვალით უცქერის, მარა, სამწუხაროთ, შენობის სივიწროვის გამო ბევრ მსურველს ეუბნებიან „ადგილი არ არის“-ო. ასეთი პასუხი რუსეთში, იმათ მიმართ, ვინც სასწავლებელში თუ სხვაგან სწავლის შესაძენათ მიდის, ჩვეულებრივია, მარა აქ რაღაც არა ჩვეულებრივათ გეჩვენება, როდესაც ხედავ, რომ კულტურულათ ჩამორჩენილნი, უსწავლელნი, თითონ მიდიან სწავლის შესაძენათ.

საჭიროა მოქმედების გაფართოვება, ფული, ენერგია. და ვინ უნდა გაიღოს ყველა ეს, თუ არ თითონ მუშა ქალებმა.

## უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

### ბრძოლა საფრანგეთის საერო სკოლების გარშემო

როგორც არა ერთხელ გვქონია მოხსენებული, საფრანგეთის საერო სკოლების წინააღმდეგ სამღვდელოება სასტიკ აგიტაციას ეწევა. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან საერო სკოლები საფრანგეთში რესპუბლიკანური იდეების მატარებელნი არიან, ამით კი, სამღვდელოების გავლენას ხალხზე ნიადაგი თანდათან ეცლება. დიდი ხანია სკოლების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად სამღვდელოება ეომება რესპუბლიკანურ მთავრობასკი სასტიკ ზომებს არ იღებს. „ჩვენებურათ“ კი, არსებული სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ ხმის ამომღები უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის დებულების 102 მუხ. ძალით. საფრანგეთის მთავრობა ასეთ ზომებს არ დებულობს, თუმცა სამღვდელოება პირდაპირ ილაშქრებს რესპუბლიკანური წესწყობილების წინააღმდეგ. თუ ასე არ იქცევა მთავრობა, ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ, თუმცა მთავრობის აგენტები ხშირათ მიბეგვავენ დემონსტრაციის მონაწილე სოციალისტებს (ასევე მოექცენ ამას წინათ პოლიციის აგენტები დვინით მოვაჭრეებსაც, რომლებმაც მიტინგი გამართეს ახალი გადასახადის შემოღების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ), მარა არავითარ ძალას არ შეუძლია და არც უფლება აქვს საფრანგეთის მოქალაქეთ ხელი შეუშალოს ამა თუ იმ იდეის გარშემო ორგანიზაციულათ შემოკრებისა. ამიტომაა, რომ საფრანგეთში ესა თუ ის პოლიტიკური იდეა ხალხის ფართო წრეებში სწვდება, ხალხი მის გარშემო ორგანიზაციულათ კავშირდება, ერთდება. ამის შემდეგ თავის თავათ ცხადია, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე თითო-ოროლა პიროვნებების პირად სურვილს გინდ მოსაზრებებს, რაიც ხშირათ გამოიხატება თხოვნაში, საჩივარში გინდ შუამდგომლობაში, ადგილი არ აქვს. ასე რომ, საფრანგეთის ცხოვრების პოლიტიკური მსვლელობა და წამოყენებულ სხვადასხვა საკითხების გადაჭრა დამოკიდებულია სხვადასხვა იდეათა და ლოზუნგთა გარშემო შემოკრებილ ხალხის ბრძოლის და ურთიერთ შორის ძალთა განწყობილებისაგან.

ასე იქცევიან საერო სკოლის საქმეშიაც. მშობელთა იმ კომიტეტებს, რომლებიც ზოგიერთ საერო სკოლებში სამღვდელოების გავლენით მოსწავლეთა გაფიცვებს აწყობენ, მღვდლებს, რომლებიც ეკლესიებში ხალხს მოუწოდებენ სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ, იმ საზოგადოებებს, გაზეთებს და სხ., რომლებიც სამღვდელოებას დახმარებას უწევენ მთავრობასთან ბრძოლაში, მთავრობა სისხლის სამართლის წესით კი არ აძლევს პასუხისგებაში, არამედ—ამ შემთხვევაში მთავრობაც თავის თანამოაზრე რესპუბლიკანების ძალაზე ეყრდნობა. როგორც კი კათოლიკეებმა მთავრობაზე იერიშის მისატანათ იწყეს დარაზმვა, იმ წამსვე „არსებული წესწყობილების“ დასაცავათ თავიანთი ძალების მობილიზაციას შეუდგენ რესპუბლიკანელები და თავისუფალი მოაზრენი: იმ ურიცხვ ორგანიზაციებს გარდა, რაც მათ მოეპოებათ რესპუბლიკანური პარტიების დამხმარეთ, როგორც პარიზში ისე სხვა ქალაქებში და ოლქებში, შექმნეს სხვადასხვა ორგანიზაციები „საერო სკოლების დასაცავათ“. ერთი გაზეთი მაგ. ასეთ ცირკულიარს ბეჭდავს, რომელსაც ხელს აწერენ ერთ-ერთი დეპარტამენტის თავისუფალი მოაზრენი: „კლერიკალების (სამღვდელოების) მოქმედება გვაიძულებს ჩვენს ოლქში შევქმნათ ახალი ორგანიზაცია, რომელიც მიზნათ ისახავს საერო სკოლების მფარველობას სამღვდელოების თავდასხმისაგან. ჩვენი ორგანიზაცია თავისი წევრების პირადი სარგებლობისთვის არ ზრუნავს, არამედ—ჩვენ ვმოქმედობთ: უფლების, მოვალეობის და ბედნიერების სახელით. ამიტომ მოვუწოდებთ ყველა იმათ, ვისაც შეგნება და სინიდისი თავისუფალია დოგმატიზმისაგან, შემოკრბენ ჩვენს გარშემო, რომ საბოლოოთ უზრუნველვყოთ ადამიანის ბედნიერება, სოციალური და დემოკრატიული იდეალების გამარჯვება“. იბეჭდება აგრეთვე ყველა პროგრესიულ გაზეთებში ახალგაზრდა რესპუბლიკანელთა კავშირის კონგრესის მოწვევის მოწოდება, სადაც დღიურ წესრიგში პირველ კითხვათ საერო სკოლის შესახებ არის კითხვა დასმული და მონაწილეობის მიღება მომავალ არჩევნებში. ყოველ საღამოობით სხვადასხვა ადგილებში კითხულობენ ლექციებს ცნობილი პირნი და იმართება კრებები, სადაც არკვევენ სამღვდელოების აგიტაციის წყალობით გამოწვეულ კითხვებს. ასე რომ, საზოგადოებრივი ძალები მოძრაობაშია, ბრძოლა სწარმოებს და ხალხის საერთო განაჩენიც ხსენებული საკითხის შესახებ გამოტანილი იქნება მომავალი არჩევნების დროს. პარლამენტის მომავალი შემადგენლობა იქნება იმის მაჩვენებელი, თუ ვის მხარეზეა ხალხის უმრავლესობა საერო სკოლის საკითხში—სამღვდელოების თუ რესპუბლიკანური მთავრობის.

### სოციალდემოკრატების გამარჯვება.

რეიხსტაგის დამატებითი არჩევნებზე ქ. გალლეში (გერმანიაში) 26 ათასი ხმით, 21,500 წინააღმდეგ აირჩიეს სოციალდემოკრატი, სადაც სოც.-დემ. წინააღმდეგ ყველა პარტიები შეერთდნენ და საერთო კანდიდატათ თავისუფალი მოაზრე წამოაყენეს, მარა 21,500 ხმის მეტი მაინც ვერ მიიღეს. 1907 წელს ხსენებულ ოლქში ხსენებულმა პარტიებმა ს.-დ. კანდიდატი გააშავეს; როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კონსერვატორების და კლერიკალების მიერ მიღებული საფინანსო რეფორმების კანონ-პროექტის შემდეგ, ეს მესამე ოლქი ყოფილა, რომელიც სოციალდემოკრატებს მოწინააღმდეგეთათვის წაურთმევიათ. ამის შემდეგ სოც. დემ. მომავალში კიდევ მეტი შანსები აქვთ გამარჯვებისო.

### ნაციონალური საკითხი ავსტრიის პარლამენტში.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენება ავსტრიის რეიხსტაგში უკვე დასრულდა კამათი 5 საჩქარო შეკითხვის შესახებ. შეკითხვები შეტანილი იყო ავსტრიაში დასახლებულ სხვა და სხვა ერების უფლებების გათანასწორების საკითხის შესახებ. შედგენილ ქიქნა საგანგებო კომისია, სადაც გადასცემენ ყველა იმ კანონ-პროექტებს, რომელიც ნაციონალური საკითხის შესახებ რეიხსტაგში იქნება შეტანილი. ბევრი იმ აზრისაა, რომ ამის შემდეგ სხვა და სხვა საჩქარო შეკითხვებით პარლამენტში ობსტრუქციები აღარ განმეორდება და შეუდგებიან დროებით ბიუჯეტის განხილვას. საჩქარო შეკითხვების განხილვის დროს, სხვათა შორის, ნემეცმა სოც.-დემოკრატმა, ზელიგერმა სთქვა, რომ ეხლანდელი ასეთი გამწვავებული მდგომარეობა გამოწვეულია, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უმაღლესი ბიუროკრატიის მიერ, ვინაიდან მათ უფრო მოხერხებულათ მიაჩნიათ პარლამენტის კონტროლის გაუკეთებლათ მოქმედება, ვინემ პარლამენტის კონტროლის ქვეშ მუშაობა. მან სთქვა, რომ სრულიად დაუმსახურებლათ აწერენ ჩეხებს პარლამენტის უმოქმედობას, რასაც მუდმივი ობსტრუქციები უშლის ხელს. ნემეცები მათზე ნაკლებ დანაშაულნი არ არიანო. დროა შეიგნონ ნემცებმა, რომ ავსტრიაში სახელმწიფო წეს-წყობილება ვერ დაეყრდნობა 9 მილიონ ნემცებზე, რომლებიც ლამობენ 16 მილიონ სხვა და სხვა ერებზე ბატონობას და თვით ნემცების თავისუფლებაც წარმოუდგენელია ისე, თუ ავსტრიის სხვა ერებიც არ იქნებიან ამ მ რით უზრუნველყოფილნიო. დასასრულს ზელიგერმა განაცხადა, რომ ნემცების ობსტრუქციამ ჩეხების სეიმში რეიხსტაგს ხელი შეუშალა სოციალური კანონმდებლობის გატარებაშიო.

### საბერძნეთის მდგომარეობა.

9 ნოემბერს სამხედრო ლიგამ მინისტრთა კაბინეტს წარუდგინა სია, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა ის დიპლომატები და სამხედრო სამსახურში მყოფნი, რომელნიც ლიგის აზრით პირნათლათ ვერ ასრულებენ და ვალებულ საქმეებს და მოითხოვდენ მათ სამსახურიდან დაუყოვნებლივ გადაყენებას. ასეთი მოთხოვნის წარდგენით მთავრობა მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა—კაბინეტს აზრათ ჰქონდა სამსახურიდან გადამდგარიყო, ვინაიდან ლიგის ასეთი მოთხოვნილების შესრულება აუსრულებლათ მიაჩნდათ. მოიწვიეს მინისტრთა საბჭოს კრება, რომელსაც სამხედრო ლიგის წარმომადგენლებიც დაესწრენ და დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ მოხდა მათ შორის შეთანხმება, რომ ლიგა ამის შემდეგ ასეთი სახის მოთხოვნილებებს არ წაუყენებს მთავრობას. მთავრობამ თავის მხრით აღუთქვა საქმის უნარის არ მქონე მოხელეების თან და თანობით სამსახურიდან დათხოვნა. ასეთი შეტაკება ნათლათ ამტკიცებს, თუ რა ძალას წარმოადგენს საბერძნეთში ეგრეთ წოდებული „სამხედრო ლიგა“ და რამდენათ ნორმალურია ამ ჟამათ თვით საბერძნეთის პოლიტიკური მდგომარეობა.

—

**შეცდომის გასწორება:** წინა ნომერში ნათქვამი იყო, რომ „სტიუარტთა გვარეულობა ინგლისში ცნობილია მეთორმეტე საუკუნიდან“ უნდა იყოს: **მეთოთხმეტე** საუკუნიდან და სხვ...

რედაქტორ-გამომცემელი ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

### მატარებლების მიმოსვლა

**15 ოქტომბრიდან 1909 წ.**

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზასრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზავრო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107, 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**მიხაილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3ს. 23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

**ყარსის გზაზე**

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო-საქონლის № 80/81 ერევნიდან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან 4 ს. 48 წ. ღამით.


## განცხადება

გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—33)

## —იაფათ—

იყიდება ს. **ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—25

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი“

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноделъ-садовладельцевъ

„Kaxetia“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

№ 1 „ — 20 к. 16 „ — 3 р.
№ 2 „ — 25 к. 16 „ — 3 р. 60 к.
№ — 35 к. 16 „ — 5 р. 10 к.
4 „ — 50 к. 16 „ — 7 р.

ресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7. Мухаилу Николаевичу Кодаловъ.

სასტუმრო

„ბორჯომი“

თფილისი, ვაგზლის ქ. № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ელმისაწდომ ფასებში: დღე და ღამით 0 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ აკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა** და **ეგნატე შერტანავა**.

(0—8)



## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

**Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.**



კანტორა და სკლადი

ი. ახობაძისა

გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იყიდება შემდეგი წამლები:

„სპერმატინი“

აჯანსაღებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.

„ალმეზა“

რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სტეთლი 40 კ.

„კლაპოვნი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინო პროფესორ გიუმონდის სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.

„პრიმა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

მსურველთ ვუგზავნით ფას დადებით. ბროშიურები უფასოთ. 30—20